პატივცემულო ქალბატონო მარიამ,

თქვენი თხოვნის პასუხად წარმოგიდგენთ 3 წინადადებას, რომლებიც, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება სესფ-ის საკონკურსო პირობების დასახვეწად.

1. სესფ-ის კლასიფიკატორი მათემატიკაში ემთხვევა ყოფილი სეს-ის (სწავლულ ექსპერტთა საბჭოს) სადისერტაციო კლასიფიკატორს, რომელიც, თავის მხრივ, BAK-ის (საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისია) კლასიფიკატორის ასლი იყო.

არადა, სესფ-ის კლასიფიკაციის მიზნები სრულიად საწინააღმდეგოა სეს-ის მიზნებისა, და აი, რატომ:

დისერტაციების დაცვის წესი მოითხოვდა, რომ სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი ყოფილიყო მოცემული დისერტაციის პროფილის 5 წევრი მაინც, ამდენად კლასიფიკატორში სპეციალობები მაქსიმალურად იყო გაფართოებული, რომ ამ წესის დაცვა ყოფილიყო შესაძლებელი.

სესფ-ის კლასიფიკატორის მიზანი კი უნდა იყოს პროექტისა და რეფერის სპეციალობების მაქსიმალური დამთხვევა, ამიტომ კლასიფიკატორში სპეციალობა ძალიან ვიწროდ უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამ გარემოების კარგი მაგალითია სესფ-ს მათემატიკური ქვემიმართულება – 3-105, "ალგებრა, ლოგიკა და რიცხვთა თეორია". BAK-ის კლასიფიკატორიდან გადმოტანილი ეს ქვემიმართულება აერთიანებს მათემატიკის ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ 3 დარგს. ასეთი გაერთიანება საკვირველი იქნება ნებისმიერი უცხოელი სპეციალისტისათვის.

მიზანშწონილად მიგვაჩნია მათემატიკის დარგში სესფ-მა გამოიყენოს საერთაშორისოდ აღიარებული ერთადერთი კლასიფიკატორი Mathematics Subject Classification, იხ. http://msc2010.org/Default.html.. ამ კლასიფიკატორით მათემატიკის დარგები კლასიფიცირდებიან 5-ნიშნიანი კოდით. მაგალითად ალგებრას კოდია 16XXX, უფრო ვიწროდ ჰოპფის ალგებრები 16TXX, კიდევ უფრო ვიწროდ ბიალგებრები 16T10.

ყველა სამეცნიერო ჟურნალი დღეს ავტორებისგან მოითხოვს მიუთითონ ერთი ან რამდენიმე ინდექსი ამ კლასიფიკატორის მიხედვით.

სესფ-ის შემთხვევაში ეს კლასიფიკატორი ძალიან კარგად იმუშავებს: პროექტის ავტორები მიუთითებენ პროექტის ერთ ან რამდენიმე 5 ნიშნიან ინდექსს, სესფ-ის რეფერენტებიც აღნიშნავენ თავისი კომპეტენციის 5-ნიშნიან ინდექსებს. შესაძლებელია პროექტისა და რეფერის 5-ვე ნიშანი არ დაემთხვეს, მაგრამ პირველი 2-3 ნიშნის დამთხვევაც დაადასტურებს რეფერის კომპეტენტურობას ამ დარგში.

ვფიქრობთ აგრეთვე, რომ ასეთივე საერთაშორისო კლასიფიკატორები მეცნიერების ყველა დარგში იარსებებს.

რაც შეეხება შემდეგ ორ წინადადებას, ვაცნობიერებთ, რომ მათი განხორციელება სათუოა რეფრენტების ნაკლებობის პირობებში, მაგრამ მაინც მოგვყავს უფრო პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

2. სხვადასვა რეფერის მიერ შეფასებული პროექტების შედარება არ არის მთლად ობიექტური, განსაკუთრებით ახლა, როდესაც გამსვლელი ქულა ფანტასტურ სიმაღლეზე ავიდა (და ალბათ გაცდა შეფასების სიზუსტის საზღვრებს). ამ არაჰომოგენურობის აღსაკვეთად ეფექტური იქნებოდა ერთი სპეციალობის ყველა პროექტმა თავს მოიყაროს ერთ რეფერისთან, რომელიც მოახდენს მათ რანგირებას.

3. რეფერის ამჟამად მოეთხოვება პროექტის შეფასება მხოლოდ რიცხვით (დაშვებულია მცირე კომენტარიც). მოთხოვნის ასეთი სიმარტივე განაპირობებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რეფერი არაა მთლად კომპეტეტური პროექტის დარგში, შესაძლოა მაინც მოკიდოს ხელი შეფასებას. ეს არ მოხდება, თუ რეფერის, რიცხვით შეფასებასთან ერთად, დაეკისრება მეტნაკლებად ვრცელი კომენტარების გაკეთება. ასეთი სისტემა მუშაობს უცხოურ საგრანტო ორგანიზაციებში (INTAS, CRDF, …), და ასევე დისერტაციების შეფასების დროსაც: ოპონენტის დასკვა არ იფარგლება მხოლოდ მითითებით იმსახურებს თუ არა დისერტანტი საძიებელ ხარისხს, ჩვეულებრივ ამას წინ უძღვის დისერტაციის საკმაოდ ვრცელი განხილვა, რითაც ოპონენტი ადასტურებს თავის კომპეტენტურობას.

მადლობას ვუხდით ფონდს და ვიმედოვნებთ, რომ საკონკურსო პირობების შემდგომი დახვეწა ხელს შეუწყობს ჩვენი მეცნიერების შემდგომ განვითარებას და წარმატებებს.

თორნიკე ქადეიშვილი